ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 398

7 სექტემბერი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ. 412757315) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ. 412757315) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 5 აგვისტოს №21.1088.1205 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ. 412757315) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 240 (სამი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე